



ვაშლის შრობისათვის ვიყენებთ მჟავე და ტკბილ-მჟავე ჯიშებს, არანაკლებ 12% მშრალი ნივთიერების შემცველობით (სინაპი, გოლდენი, ბროცკი)

აწონვა	ინსპექცია დაკალიბება	რეცხვა	კანის გაცლა, დაჭრა, თესლბუდის ამოცლა	ბლანშირება 0,1%კაუსტიკური სოდის ხსნარით დამუშავება	შრობა ჰელიოსისტემის დანადგარში
--------	----------------------	--------	--------------------------------------	--	--------------------------------

ნედლეულის მიღება, აწონვა - გადასამუშავებელი ნედლეულის პარტია არ უნდა შეიცავდეს დაჟეჟილ, მავნებლებით დასენიანებულ და სხვა სახის დეფექტურ ნაყოფებს.

ინსპექცია - შრობისათვის, გამოუსადეგარი 3.5 სმ-ზე ნაკლები ზომის ნაყოფების მოცილება. ვინაიდან მათი გაფცქვნიტ და შემდგომი დაჭრით მიიღება არასტანდარტული 30მმ-ზე ნაკლები დიამეტრის რგოლები.

ნედლეულის დამუშავება - ნედლეულის რეცხვა, ნედლეულის დაჭრა სპეციალური-სათლელით 5-6 მმ სისქის რგოლებათ. დაჭრილი ნაყოფების 0,1%კაუსტიკური სოდის ხსნარით დამუშავება 1-2 წთ-ის განმავლობაში დასტელაჟებზე მოთავსება.

შრობა - შრობის პროცესი დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე საშრობის გამართული მუშაობისათვის საჭიროა გარე ჰაერის ტემპერატურა იყოს არანაკლებ 25 ° C საშრობის შიდა ტემპერატურა 35-50 ° C, შრობის ხანგრძლივობა 4-5 დღე. შრობა ხორციელდება ჰელიოსისტემის ტიპის საშრობში ZEFIRO-MAX-ით.

გამოსავლიანობა - 6-7 კგ.მ. ვაშლიდან მიიღება 1 კილოგრამი ჩირი.

შრობის შედეგად მიღებული ჩირის მაჩვენებლები:

ორგანოლექტიკური: რგოლების სახით

ბიოქიმიური შემადგენლობა: ტენიანობა 18-20% მჟაქრების შემცველობა: 12%

შრობის ღირებულება - ერთი კილოგრამი ვაშლის შრობის ღირებულება შეადგენს 0,51 ლარს.

საწარმოს მისამართი - ქობულეთის მუნიციპალიტეტი სოფ: გვარა ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-ს ვაზისა და ხეხილის სანერგემეურნეობა.

შენიშვნა:დამატებითი ინფორმაცია შეიძლება მიიღოთ შემდეგი პირისგან ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-ს კოსულტანტი ინგა გაფრინდაშვილი ტელ: 599 29-36-16.